თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5864416

ნომერი: AR1883728

თარიღი : 27.02.2022

გაცემის თარიღი : 24.03.2022

გაცნობის თარიღი : 25.03.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამას ქუჩა, N 103;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გურგენიძე პ/ნ 01024055103
- თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 12ა ბ. 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 27 თებერვლის №AR1883728 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 9 მარტის №5839594 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ არ არის გამოსწორებული დადგენილი ხარვეზები სრულად, კერძოდ საცხოვრებელ, კომერციულ და ავტოსადგომების ფართობებში ისევ არასწორად არის ჩათვლილი შახტების და კოლონების ფართობები. ასევე, გეგმებზე დატანილი კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობების ჯამური მაჩვენებელი შეუსაბამოა მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებულთან. ამასთან, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ჩამონათვალით ირკვევა, რომ კ1 განაშენიანების კოეფიციენტის, კ2 განაშენიანების ინტენსივობისა და კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობები შეუსაბამოა შეთანხმებულთან და შესაბამისად, საჭიროა განმარტებულ იქნეს აღნიშნული საკითხი. ამასთან, წარმოდგენილი და შეთანხმებული I სართულის (0.00 ნიშნული) გეგმები ისევ შეუსაბამოა ერთმანეთთან, კერძოდ შეცვლილია გეგმარება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში დაზუსტებულ იქნეს მოთხოვნა კ1 განაშენიანების კოეფიციენტის, კ2 განაშენიანების ინტენსივობისა და კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობების შესწორებასთან დაკავშირებით. ასევე, საჭიროა დაზუსტებულ იქნეს მოთხოვნა საცხოვრებელ, კომერციულ, ავტოსადგომის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, ასევე საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ამასთან, წარმოდგენილ იქნეს 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების ცვლილების გარეშე), შესწორებული ფართობების დატანით.
ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 9 მარტის №5839594 ბრძანებას გაეცანით 2022 წლის 10 მარტს, ხოლო სამსახურს განმეორებით მომართეთ 2022 წლის 23 მარტს, ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 21 (ოცდაერთი) სამუშაო დღე.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 21 (ოცდაერთი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2022 წლის 27 თებერვლის №AR1883728 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.